

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა საქმეზე N3091/11/07
დისციპლინურის სახდელის დადების შესახებ

2007 წლის 29 ნოემბერს ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - ქეთევან ქვარცხავა, წევრები - გიორგი ტურაზაშვილი და თამარ იარაჯული. სხდომაზე განიხილა ამავე კომისიის საპროცესო კოლეგიის (თავმჯდომარე: დავით მოდებაძე, წევრები: მედეა დემეტრაშვილი და ცირა შუბითიძე) გადაწყვეტილება ადვოკატ კ. ი.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღვდრის შესახებ და

და ა დ გ ი ნ ა:

2007 წლის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიაში შემოვიდა საპროცესო კოლეგიის 2007 წლის 4 ოქტომბრის N3025/10/07 გადაწყვეტილება, რომლითაც ადვოკატ კ. ი.-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა. გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ 2007 წლის 4 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მოქალაქე ლ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ კ. ი.-ს მიმართ საადვოკატო საქმიანობის აკრძალვა. ლ. კ.-ს საჩივარში ასახულ ადვოკატის მიერ ჩადენილ დარღვევებს ასაბუთებდა, როგორც საპროცესო კოლეგიისათვის ჩაბარებული ახსნა-განმარტებითი, ასევე მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ადვოკატმა კ. ი.-მ საპროცესო კოლეგიისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ლ. კ.-ს მიერ აღნიშნული ფაქტები უარყო.

საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 1 მაისიდან ადვოკატი კ. ი. გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან, აშშ მსოფლიო მზრუნველობის განვითარების საქართველოს ფილიალის დირექტორის 2007 წ. 30 აპრილის მემორანდუმით, ხოლო 2007 წლის 16 აპრილის მდგომარეობით დამფუძნებელმა შეუწყვიტა მას 2005 წლის 20 ოქტომბერს გაცემული მინდობილობა. მიუხედავად ამისა კ. ი. გამოცხადდა ქ. გორის სასამართლოში და დაასრულა საქმე მორიგებით, რითაც ორგანიზაციას მიაღდა 18 ათასი აშშ დოლარის ზარალი. ის გარემოება, რომ მას არ ჰქონდა უფლებამოსილება დაესრულებინა საქმე მორიგებით დასტურდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წ. 19 ივლისის განჩინებით, რომლითაც გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16

მაისის განჩინება, ვინაიდან პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მსოფლიო მზრუნველობის განვითარების ორგანიზაციის წარმომადგენელს, კ. ი.-ს, ჰქონდა უფლებამოსილება. საპროცესო კოლეგიამ არ გაიზიარა ი.-ს მოსაზრება იმ ნაწილში, რომ თითქოს მან იმიტომ მიიღო მანიჭილეობა 2007 წლის 16 მაისს გორის რაიონულს სასამართლოს წარმოებულ სამოქალაქო დავაში, რომ პირად ინტერესზე მაღლა დააყენა ორგანიზაციის ინტერესები. რადგან თვით კ. ი.-ს 2007 წლის 22 აპრილის განცხადებით, რომლითაც იგი მიმართავდა აშშ მსოფლიო მზრუნველობის განვითარების საქართველოს ფილიალის ლიკვიდატორს, ვ. გ.-ს, ირკვევა, რომ კ. ი. უარს აცხადებდა, როგორც 2007 წლის 30 აპრილსა და 27 მაისს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში დანიშნულ სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე, ასევე 2007 წლის 16 მაისს გორის რაიონულ სასამართლოში მონაწილეობის მიღებაზე და იგივე განცხადებით ითხოვდა საბოლოო ანგარიშის გასწორებას. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებულად მიიჩნია საჩივრის ავტორის მოსაზრებები აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიებს დანარჩენ ნაწილში კერძოდ, ადვოკატ კ. ი.-ს არაპროფესინალიზმი და დაკისრებული ვალდებულების მიმართ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ზარალის მიყენებით, ასევე კ. ი.-ს მიერ თაღლითური გზით ორგანიზაციის კუთვნილი თანხების მითვისება, კოლეგიამ არ გაიზიარა, ვინაიდან საჩივრის ავტორი უთითებდა ფაქტებს, რომლებიც თარიღდება 2003-2005 წლებში მაშინ, როცა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი არ იყო ძალაში შესული. ამავე კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, ეთიკის კოდექსი ძალაში შედის საერთო კრების მიერ დამტკიცებისთანავე და უკუქცევითი ძალა არ გააჩნია, ანუ 2006 წლის 15 აპრილამდე ადვოკატთა მიერ ჩადენილი არაეთიკურ ქცევებზე კოდექსის მოქმედება ვერ გავრცელდება.

კოლეგიამ ასევე არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება ადვოკატ კ.ი.-ს მიერ ორგანიზაციის კუთვნილი თანხების მითვისებასთან დაკავშირებით, თაღლითური გზით, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, კ.ი.-ს მიერ ორგანიზაციიდან სახელფასო დავალიანების აღება მოხდა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამიტომ საპროცესო კოლეგია არ არის უფლებამოსილი შეაფასოს სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილების კანონიერება.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-2, მე-3 და მე-5 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-5 მუხლითა და დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-9 მუხლით, აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ კ. ი. მიმართ.

განხილვის კოლეგიის სხდომაზე გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საპროცესო კოლეგიის თავჯდომარემ დ. მ. და მიაჩნია, რომ კ. ი. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 2 და 3 მუხლების თანახმად არის ადვოკატი და ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას და მის მოქმედებით დაირღვა ამავე კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა ადვოკატი ვ. ი. და განმარტა, რომ 2003 წელს მან მართლაც დაიწყო მუშაობა იურისტის თანამდებობაზე აშშ მსოფლიო მზრუნველობის განვითარების წარმომადგენლობაში. 2005 წელს ჩამოვიდა წარმომადგენელი და ნათლად გამოხატა სურვილი, რომ საქართველოში არსებული ფილიალისთვის ლიკვიდაცია მოეხდინათ. წარმომადგენელმა შესთავაზა მას, ლ. კ. , ვ. გ.-ს შეექმნათ ფონდი და აქტივები გადასცემოდათ ეტაპობრივად. 2006 წლის ზაფხულის პერიოდიდან ფონდში მოხდა შიდა სტრუქტურული კონფლიქტი. გამგეობის წევრებმა, ქ-ნ ლ. კ.-ს მოსთხოვეს ანგარიშები. 2007 წლის ივნისში ვ. ი, ვ. გ. და ახალმა თავჯდომარემ მიმართეს ფინანსურ პოლიციას სესხის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ადვოკატმა განმარტა, რომ სწორედ აქედან დაიწყო დამაბული ურთიერთობა ვ.-ს მიერ მის მიმართ. ადვოკატის თქმით, მისი ინტერესი არ იყო ის, რომ მის სამსახურს მიდგომოდა რაიმე ზიანი.

განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ 2007 წლის 23 აპრილს ადვოკატმა ვ.ი. პირადად მიმართა ორგანიზაციას და ითხოვა სამსახურიდან გათავისუფლება, ამასთან მისი განცხადების თანახმად იგი აღარ გამოცხადდებოდა 16 მაისს გორის რაიონულ სასამართლოში გამართულ პროცესზე. ასევე დადგინდა, რომ 2007 წლის 1 მაისიდან ადვოკატი ვ. ი. გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან, აშშ მსოფლიო მზრუნველობის განვითარების საქართველოს ფილიალის დირექტორის თანამდებობიდან 2007 წ. 30 აპრილის მემურანდუმით, ხოლო 2007 წლის 16 აპრილის მდგომარეობით დამფუძნებელმა შეუწყვიტა მას 2005 წლის 20 ოქტომბერს გაცემული მინდობილობა. მიუხედავად ამისა ვ. ი. გამოცხადდა გორის რაიონულ სასამართლოში და დაასრულა საქმე მორიგებით, რაც დასტურდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წ. 19 ივლისის განჩინებით, რომლითაც გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის განჩინება, ვინაიდან პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მსოფლიო მზრუნველობის ორგანიზაციის წარმომადგენელს, ვ. ი.-ს, ჰქონდა უფლებამოსილება.

განხილვის კოლეგია არ არის უფლებამოსილი ეჭვი შეიტანოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, სადაც დასტურდება, რომ ადვოკატს არ გააჩნია მორიგების უფლება. განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატ ი.-ს მოსაზრებას იმ ნაწილში, რომ თითქოს მან იმიტომ მიიღო მონაწილეობა 2007 წლის 16 მაისის გორის რაიონულ სასამართლოში წარმოებულ სამოქალაქო დავაში, რომ პირად ინტერესზე მაღლა დააყენა ორგანიზაციის ინტერესები. ვერც იმ არგუმენტს გაიზიარებს განხილვის კოლეგია, რომ მისთვის უცნობი იყო მისი სამსახურიდან გათავისუფლებას თავად ითხოვდა და უარს აცხადებს როგორც 2007 წლის 30 აპრილსა და 27 მაისს გორის რაიონულ სასამართლოში მონაწილეობის მიღებაზე და იგივე განცხადებით ითხოვდა საბოლოო ანგარიშის გასწორებას.

განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა, მიუხედავად ნებისმიერი შიდა სტრუქტურული კონფლიქტისა, ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ განახორციელოს მოქმედება რითაც შესაძლებელია ავნოს როგორც კლიენტს, ასევე თავისი პროფესიის პრესტიჟს. დაუშვებელია ადვოკატმა გამოიყენოს მის მიმართ გამოხატული ნდობა და მორიგება გააფორმოს მისი კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ, თუნდაც მორიგების უფლების შესახებ აღნიშნული იყოს მის მოქმედ

რწმუნებაში. კოლეგიას მიაჩნია, რომ თუმცა მორიგება ძალაში რჩება მესამე მხარეების მიმართ (თუკი არ გაუქმდა შესაბამისი გადაწყვეტილებით), ადვოკატი პასუხს აგებს მისი კლიენტის წინაშე მორიგების პირობებიდან და შედეგებიდან გამომდინარე. რწმუნების ტექსტი, როგორც წესი, დგება თავად ადვოკატების მიერ, ხოლო რწმუნებაზე ხელის მოწერით კლიენტი გამოხატავს ნდობას არამხოლოდ ადვოკატის, არამედ მისი პროფესიის მიმართ. ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება მხოლოდ კლიენტის სასარგებლოდ და ნებისმიერ შემთხვევაში მიაწოდოს კლიენტს სრულყოფილი ინფორმაცია მისი სტრატეგიის და მით უფრო, ისეთი გადაწყვეტილებების შესახებ, როგორც მორიგებაა.

ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-18 მუხლის თანახმად განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი, ვინაიდან თავისი ქმედებით ეჭვის ქვეშ დააყენა მისდამი კლიენტის ნდობა. ადვოკატმა ასევე დაარღვია კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით“. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა უფულებელყო კლიენტის ნება და მორიგება გააფორმა კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ, რაც დასტურდება კლიენტის მიერ დადებული მორიგების გასაჩივრების ფაქტით და სააპელაციო სასამართლოს მიერ მორიგების გაუქმებით.

იხელმძღვანელა რა ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-3, მე-8 მუხლებით, ადვოკატის დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-41. „ა“ მუხლით.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ადვოკატ კ. ი.-ს მიმართ გამოყენებული იქნას სახდელის სახით „გაფრთხილება“
2. ადვოკატ კ. ი.-ს განემარტოს, რომ მორიგებაზე საკუთარი თანხმობის გამოთქმისას ადვოკატი უნდა იცნობდეს და ითვალისწინებდეს თავისი მარწმუნებლის ნებას და არ დადოს მორიგება, რომლის დადებაც ეწინააღმდეგება მარწმუნებლის ნებას ან რაზეც მარწმუნებელს თანხმობა არ გამოუთქვამს. მითუფრო ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ უფლებამოსილების გარეშე მორიგების დადება შესაძლებელია გახდეს ადვოკატის და მისი პროფესიის მიმართ ნდობის ეჭვის ქვეშ დაყენების საფუძველი.
3. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მხარეებს.
4. ადვოკატს უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში გაასაჩივროს იგი უზენაეს სასამართლოში.

- ქ. ქვარცხავა
- გ. ტურაზაშვილი
- თ. იარაჯული